ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7666447

ნომერი: AR11112153

თარიღი : 08.10.2025

გაცემის თარიღი : 16.10.2025

გაცნობის თარიღი : 17.10.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ფატმანის ქუჩა, N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 08 ოქტომბერს №AR11112153 განცხადებით მომართა ირაკლი მაზიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 16 სექტემბრის №7629954 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 16 სექტემბრის №7629954 ბრძანებით შეთანხმდა №01.72.14.035.999 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 16 სექტემბრიდან 2027 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 16 სექტემბრის №7629954 ბრძანებით შეთანხმებულ კონსტრუქციულ პროექტს აქვს ხარვეზები ტექნიკური მონაცემების და მისამართის ნაწილში. შესაბამისად ითხოვს წარმოდგენილი კონსტრუქციული პროექტის ჩანაცვლებას.

განგიმარტავთ, რომ კონსტურქციული პროექტის ჩანაცვლება არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას. სამსახურის 2025 წლის 16 სექტემბრის №7629954 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ცვლილება საჭიროებს სამსახურის 2025 წლის 16 სექტემბრის №7629954 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კორექტირებას) და შესაბამისი (მათ შორის შესათანხმებელი არქიტექტურული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო შეფასების) საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2025 წლის 16 სექტემბრის №7629954 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.